

თენგიზ ვერულავა - რატომ ვუსწრებთ/ჩამოვრჩებით გერმანიას, ანუ რატომ ვერ გადავა ძროხა მდინარეს

გამოქვეყნდა ბლოგზე azrebi.ge, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 09.10.2010

<http://azrebi.ge/index.php?pid=1159>

მთავარია ნება. ნება უსხლტება სივრცის, დროისა და მიზეზობრიობის ფორმებს და განვითარების უმთავრესი განმსაზღვრელია.

ამაში ჩინეთში ყოფნისას დავრწმუნდი. ჩინეთის შესახებ ბევრი რამ მქონდა წაკითხული, მაგრამ თვალთ ნანახმა ყველაფერს გადააჭარბა. მინისა და ბეტონის ცათამბჯენების ნახვისას თავი ნიუ-იორკში გეგონება. მითხრეს, რომ ამ ულამაზესი შენობების დაპროექტებას ჩინელები მხოლოდ უცხოელ არქიტექტორებს ანდობენო.

2010 წელს ჩინეთმა იაპონიასაც გაუსწრო და მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით მსოფლიოში მეორე ადგილზე გადმოინაცვლა. ცხადია, ეკონომიკური სიძლიერის უპირველესი ნიშანი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტია და ამ მაჩვენებლით მან უკვე სძლია საფრანგეთს, ბრიტანეთსა და გერმანიას, მაგრამ ჩინეთი დღემდე მაინც ღარიბ ქვეყნად რჩება. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლით იგი ისეთ განვითარებად ქვეყნებსაც კი ჩამორჩება, როგორცაა ნამიბია და თურქმენეთი. ცნობისათვის, ერთ სულ მოსახლეზე წლიური შემოსავალი ჩინეთში 6.000 დოლარს შეადგენს, აშშ-ი 39.000 დოლარს, ხოლო ევროკავშირში 33.400 დოლარს.

ასე რომ, ჩინეთს კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი. მაგრამ ქვეყნის სტაბილური ზრდის ნება აღნიშნულის მიღწევის იმედს იძლევა.

მთავარი რომ ნებაა, ამაში არამარტო ცათამბჯენებით და ქალაქებში არსებული უჩვეულო სისუფთავით დავრწმუნდი. უნივერსიტეტის ერთ-ერთი ლექტორი იოგა იყო და გაოცებული მივმტერებოდი თუ როგორ ახდენდა გრავიტაციის დაძლევის და ნივთების და საგნების საოცარი სიზუსტით გადაადგილებას. სხვა რითი უნდა ახსნა ეს ფენომენი, თუ არა ადამიანის ნებელობის უმაღლესი გამოვლინებით. მხოლოდ ასეთ ნებელობას შეუძლია კალაპოტი შეუცვალოს არამარტო მდინარეს, ქვეყნის განვითარების ხაზსაც კი და იგი მოაქციოს სწორ გზაზე.

ახლახანს, "ფრეზერის ინსტიტუტმა" მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების მოხსენება (Economic Freedom of the World: 2010 Annual Report) გამოაქვეყნა, რომლის თანახმად, საქართველო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით წინა წელთან შედარებით 22 პოზიციით დაწინაურდა და 141 ქვეყანას შორის 23 ადგილი (7,47 ქულით) დაიკავა. ამით საქართველომ მსოფლიოს საუკეთესო ოცეულში,

ძირითად თავისუფალი ქვეყნების ჯგუფში გადმოინაცვლა. გასულ წელს გამოცემულ აღნიშნულ რეიტინგში, საქართველო 45-ე ადგილს (7,24 ქულით) იკავებდა.

მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების მოხსენებას ფრეზერის ინსტიტუტი ყოველწლიურად აქვეყნებს. 2010 წლის მოხსენებაში ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2008 წლის მონაცემებითაა დათვლილი. მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში საქართველო უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორცაა: გერმანია (24-ე ადგილი), ლიტვა (33), ბულგარეთი (36), ესპანეთი (39), ბელგია (43), სომხეთი (50), ლატვია (55), საბერძნეთი (60), იტალია (66), რუსეთი (84), აზერბაიჯანი (93) და სხვა. რეიტინგში პირველ ადგილზე ჰონგკონგი იმყოფება, შემდეგ მოდის სინგაპური, ახალი ზელანდია, აშშ და ასე შემდეგ. შეიძლება ითქვას, ყოფილ საბჭოთა სივრცეში საქართველო ლიდერია, რადგან მასზე უკეთეს შედეგებს მხოლოდ ესტონეთი აჩვენებს. ლიტვა და ლატვიამ შესაბამისად 33 და 55 ადგილზე გადმოინაცვლეს.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ეკონომიკური თავისუფლების შემცირება შეიმჩნევა, რაც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისითაა გამოწვეული, საქართველო ერთ-ერთ იმ ქვეყანათა რიგში აღმოჩნდა, სადაც ეკონომიკური თავისუფლების დონემ კიდევ უფრო წინ წაიწია. ანგარიშის მიხედვით, 88 ქვეყანამ შეამცირა თავისი ეკონომიკური თავისუფლება და მხოლოდ 35-მა ქვეყანამ გააუმჯობესა.

რამდენად საჭიროა ეკონომიკური თავისუფლების პოლიტიკა? ამას წინათ, სოციალურ ქსელში ერთმა ჩემმა მეგობარმა ასეთი რამ დაწერა: "თავისუფალი ბაზრით მხოლოდ ბაზარია თავისუფალი, და არა მე და ჩემნაირებიო". რაზეც მეორემ ნახევრადხუმრობით უპასუხა: "თქვენც, მეც, საერთოდ ჩვენ ყველანი ბაზარი ვართ, თეკერეის ამაოებისა არ იყოსო".

თეკერეის "ამაოების ბაზარი" გვერდზე გადავდით და ავხსნათ თუ რატომ გვჭირდება ეკონომიკური თავისუფლების პოლიტიკა. ცხადია, რომ ბაზარს ერთ მოსაზღვრულ ტერიტორიაზე ვერ განავითარებ, ვერც შიდა კონკურენცია გიშველის. ეკონომიკურ ზრდას ბევრად განაპირობებს მეზობელ ქვეყნებთან კონკურენტული სავაჭრო ურთიერთობები. მახსენდება ქართული ფილმი "ჭირვეული მეზობლები", სადაც ერთმანეთს გადაკიდებული მეზობლები, კოლმეურნე ბრიგადირები, ამირანი და გრამიტონი ფრონტის დასახმარებლად გამართულ შეჯიბრში ერთმანეთს ეცილებიან. თითოეული ცდილობს, ბრძოლის ველზე მყოფ მეომრებს სხვაზე მეტი დახმარება გაუგზავნოს. ასეთი ჭირვეული მხარეებისგან შედგება მსოფლიო ბაზარი, და რაც მეტია შეჯიბრი, მით მეტია დოვლათი. მაგრამ გრამიტონს და ამირანს ტანკები არ უყენიათ ღობესთან, რომ ინდაურებს დაუმინონ. აქ კი რა განვითარებაზე და მეზობელთან თავისუფალ საბაზრო კონკურენციაზე უნდა იფიქრო, როდესაც იმავე მეზობელს ქვეყნის 20 %-ზე მეტი აქვს დაპყრობილი. თავისუფალი ბაზრის განვითარებას მეზობლების ეკონომიკური მდგომარეობაც

უწყობს ხელს, რადგან რაც უფრო მდიდარია, მით უფრო მეტია ინვესტიციების განხორციელება. არც ამ მხრივ ვართ განებივრებულები. ჩვენი მეზობლები არც კარგი კონკურენტები არიან, და არც იმდენად მდიდრები, რომ ინვესტიციები განახორციელონ.

არც მსოფლიო ბაზარზე შესვლაა მთლად იოლი საქმე, არც ჩვენი საერთო განათლებაა სახარბიელო და არ შეესაბამება მსოფლიო კონკურენციის დონეს. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ღარიბია, რაც ასევე ასუსტებს საწყის ეკონომიკურ პირობებს.

ამ გარემოებების გამო, საქართველოს არ აქვს არანაირი სხვა გზა ვიდრე რადიკალური ლიბერალური პოლიტიკა.

ზოგიერთი თვლის, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით ყველაზე მაღალ ადგილზე ისეთი ქვეყნებია, რომლებიც არც გამოირჩევიან დემოკრატიის მაღალი დონით (მაგ., სინგაპური, ჰონგ კონგი). მაგრამ პირველ ათეულში ამ ორი ქვეყნის გარდა შედის ახალი ზელანდია (2 ადგილი), შვეიცარია (3 ადგილი), აშშ (6 ადგილი) და სხვა დემოკრატიული ქვეყნები, რომელთა გვერდით ყოფნა ნამდვილად არ აწყენდა საქართველოს.

ამასთან, გასათვალისწინებელია ერთი გარემოება, დემოკრატია უმრავლესობის მმართველობაა, რაც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი პოპულისტური ტენტენციების გამო (გახსოვთ ალბათ უფასო წყალი, ელექტროენერჯია, ჯანდაცვა და ა.შ.), გარკვეულ საშიშროებას უქმნის თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარებას. ამ დრო ავიწყდებათ, რომ არაფერი ისე არ იცავს ადამიანის უფლებებს, როგორც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, რადგან მხოლოდ ასეთ სისტემაშია ადამიანი გადაწყვეტილების მიღებაში თავისუფალი და საკუთარ არჩევანზე პასუხისმგებელი.

რით არის ჩვენთვის საინტერესო "ფრეზერის ინსტიტუტის" ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი? ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების დონეს ადგენენ ხუთ ძირითად სფეროში: 1. ხარჯები, გადასახადები და საწარმოები; 2. სამართლებრივი სტრუქტურა და საკუთრების უფლების დაცვა; 3. მდგრადი ვალუტის ხელმისაწვდომობა; 4. საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება; 5. კრედიტების, შრომისა და ბიზნესის რეგულირება. ეკონომიკური თავისუფლების დონის გასაზომად გამოიყენება 41 კრიტერიუმი და ქვეკრიტერიუმი და ფასდება 10 ქულიანი სისტემით.

პირველი პარამეტრი, ხარჯები, გადასახადები და საწარმოები, გულისხმობს სახელმწიფო აპარატის ზომას, ქვეყანაში სახელმწიფო დანახარჯების წილის შემცირებას. ამ მხრივ, მაჩვენებელი 7.36-დან 7.68 ქულამდე აიწია (26 ადგილი);

მეორე პარამეტრი ეხება სახელმწიფოს სამართლებრივ სტრუქტურას და ქვეყანაში საკუთრების უფლებების დაცვის მექანიზმებს. მაჩვენებელი 5.3 ქულიდან 5.07 ქულამდე შემცირდა (88 ადგილი);

მესამე პარამეტრი, მდგრადი ვალუტის ხელმისაწვდომობა, გულისხმობს ფულადი სისტემის სტაბილურობას, ინფლაციის დაბალ დონეს. მაჩვენებელი 8.3-დან 9.8 ქულამდე აიწია (38 ადგილი);

მეოთხე პარამეტრი გულისხმობს საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლებას, მის ზრდას, საერთაშორისო ვაჭრობის ზრდას, სავაჭრო ბარიერების, ბიზნესის რეგულირების ბიუროკრატიული დანახარჯებისა და პროცედურების შემცირებას, ბიზნესის დაწყების გამარტივებას. მაჩვენებელი 7.7 ქულიდან 7.73 ქულამდე დაიწია (16 ადგილი);

მეხუთე პარამეტრი, კრედიტების, შრომისა და ბიზნესის რეგულირება, 7.7-დან 7.81 ქულამდე აიწია (23 ადგილი);

როგორც ვხედავთ, მოცემული 5 პარამეტრიდან საქართველომ მაჩვენებლები გაიუმჯობესა პირველ, მესამე და მეოთხე პარამეტრებში.

ამ წერილის მკითხველმა შესაძლოა გაკვირვება გამოხატოს და ეჭვი შეეპაროს რეიტინგის რეალურობაშიც და სამართლიანობაშიც და იგი ბლეფად ჩათვალოს. თუ მსოფლიო საუკეთესო ოცეულს მივუახლოვდით, მაშინ რატომ არ ვგრძნობთ თავს უკეთესად ვიდრე გერმანია ან იაპონია?

ეკონომისტისათვის პასუხი ნათელია, თუნდაც ზემოთ მოყვანილი ჩინეთის მაგალითზე. ჩინეთიც ასევე უსწრებს იაპონიას და მსოფლიოში მეორე ადგილზეა, მაგრამ მეორე მხრივ მაინც ღარიბი ქვეყანა ჰქვია.

თუ საქართველოს შევადარებთ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით დაბლა მდგომ ქვეყნებს, ვნახავთ, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში 4.896 აშშ დოლარია, მაშინ როდესაც ბელგიაში (რეიტინგის მიხედვით 43 ადგილი) ეს მაჩვენებელი 34,493 აშშ დოლარია, სომხეთში (რეიტინგის მიხედვით 50 ადგილი) - 6.070 აშშ დოლარი, ლატვიაში (რეიტინგის მიხედვით 55 ადგილი) - 17.100 აშშ დოლარი, აზერბაიჯანში (რეიტინგის მიხედვით 93 ადგილი) - 8.765 აშშ დოლარი, რუსეთში (რეიტინგის მიხედვით 84 ადგილი) კი 16.139 აშშ დოლარია. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა საქართველოში 2 პროცენტზეა დაფიქსირებული, მაშინ როდესაც ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით დაბლა მდგომ ქვეყნებში, მაგალითად, სომხეთში ეს მაჩვენებელი 6.8 პროცენტს, რუსეთში 7.3 პროცენტს, ხოლო აზერბაიჯანში 10.8 პროცენტს შეადგენს.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომლითაც შესაძლებელია პასუხი გაეცეს ზემოაღნიშნულ კითხვას. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი უამრავ სტატისტიკურ ინფორმაციას და კვლევებს ეყრდნობა. ამ ინფორმაციას ამუშავებენ და გამოჰყავთ საშუალო სიდიდე, მაგალითად 7,5 ქულა. საშუალო სიდიდე შეიძლება შევადაროთ მდინარის საშუალო სიღრმეს. მდინარის სიღრმე არასოდეს არ არის სწორი და თანაბარი. ჩვეულებრივ, მდინარე ზოგან უფრო ღრმაა, ზოგან კი, პირიქით. ამიტომაც გვატყუებს სიღრმის საშუალო მაჩვენებელი და გვგონია, რომ პრობა მდინარის ასეთ გასაშუალებულ მაჩვენებელს თავისუფლად გადალახავს.

სწორედ ასეთი ღრმულება ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის 5 პარამეტრიდან ის 2 პარამეტრი, რომელშიც საქართველოს სხვა ქვეყნებთან შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვს. კერძოდ: სამართლებრივი სტრუქტურა და საკუთრების უფლების დაცვა (II პარამეტრი) და კრედიტების, შრომისა და ბიზნესის რეგულირება (V პარამეტრი).

მათეს სახარების მიხედვით, მაცხოვარს გადაცურვაც არ დასჭირვებია, ისე გაიარა, ფეხით წყალზე. ამის ახსნაც ნებელობის უმაღლეს გამოვლინებაშია. ძენ-ბუდიზმის დამაარსებელმა ინდოელმა პრინცმა ბოთჰი თჰარმამაც გაიარა მდინარეზე. მაგრამ არც ბოთჰი თჰარმას გადაუცურია მდინარე უცებ. ლეგენდის მიხედვით, ბოთჰი თჰარმა შაოლინის მონასტერში ცხრა წელიწადი მედიტირებდა კლდეზე.

ვერ გეტყვით, რამდენი წელიწადი დასჭირდება საქართველოს, რომ ის ღრმულებიც ამოავსოს, რაშიც ჩავარდნები აქვს და მდინარე გადაცუროს. მიუხედავად რეფორმების სწრაფი ტემპისა, შეუძლებელია მცირე დროში ეკონომიკის ისე განვითარება, რომ დასავლეთ ევროპას გავუტოლდეთ, რომელსაც ამ განვითარებისთვის 150 წელი დასჭირდა. მაგრამ დროზე მთავარი მაინც ნებაა. როგორც გრიგოლ ნოსელი იტყოდა:

"არ უნდა გვეგონოს, რომ მხოლოდ დრო არის საკმარისი განკურნებისთვის, რადგან კურნებას დრო კი არ მოიტანს, არამედ მთავარია ნება და არჩევანი მისი, რომელსაც სურს მოიქცეს და ისწრაფვის, განიკურნოს თავი".

სწორედ ასეთ ნებაზეა დამოკიდებული ქვეყნის წინსვლა. ასეთ ნებას წარმოადგენს პრეზიდენტის მიერ გაცხადებული "ეკონომიკური თავისუფლების აქტი", რომლის მთავარი არსია ახალი მაკონტროლებელი ორგანოების დაფუძნების დაუშვებლობა და გადასახადების გაზრდა რეფერენდუმის გარეშე. თუმცა ამ საკონსტიტუციო აქტის მიღებამდე ორივე პრინციპი დაირღვა: ევროკავშირის მოთხოვნით შეიქმნა ანტიმონოპოლიური სამსახური და რამდენიმე დასახელების პროდუქციაზე საბაჟო გადასახადი გაიზარდა.

ანტიმონოპოლური სამსახური და ზედმეტი რეგულირება უფრო ამუხრუჭებს ეკონომიკურ განვითარებას. ბაზრების ბევრ ნაწილში სწორედ ზედმეტი რეგულირების გამო არ არსებობს ჯანსაღი კონკურენცია, რის გამოც მოსახლეობა იძულებულია მაღალ ფასებში იყიდოს საქონელი ან მომსახურება. ამის კარგი მაგალითია, მობილური კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა, რომლებიც ყველაზე მეტად რეგულირებული სფეროებია, მაგრამ მაინც არაა იაფი.

დღეს ბევრი ექსპერტი გამოთქვამს შიშს, რომ ეკონომიკური თავისუფლების აქტის დამტკიცებამდე საქართველოს მთავრობა ცდუნებას ვერ გაუძლებს და ისეთ ცვლილებებს განახორციელებს, რომლებიც ქვეყანაში ეკონომიკური თავისუფლების განვითარებას კიდევ უფრო შეაფერხებს. ვარაუდობენ ბიზნესში მთავრობის ჩარევის გაზრდაზე, კერძოდ, შრომის კანონმდებლობის გამკაცრებაზეც, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია მთელ მსოფლიოში.

ნება გამორიცხავს შიშს და დაეჭვებას. სახელმწიფოს არ უნდა შეეშინდეს მოკლევადიან პერსპექტივაში საზოგადოებისათვის მტკივნეული, მაგრამ მომავალში საზოგადოებისთვისავე მომგებიანი განაცხადის გაკეთების. ამისთვის კი საჭიროა, ერთხელ გაცხადებული ნების თანმიმდევრული მიყოლა.

გაიხსენეთ ქრისტეს მოწაფე, წყალზე გავლა რომ განიზრახა, შემდეგ ეჭვი შეიტანა ასეთ სასწაულში და უმაღლეს წყალში ჩავარდა.